

პარიზი,
2003 წ. 17 ოქტომბერი

საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა გენერალური კონფერენცია, შემდგომში იუნესკო, შეიკრიბა რა 2003 წლის 29 სექტემბერ -17 ოქტომბერს პარიზში, 32-ე სესიაზე,

ეფუძნება რა ადამიანის უფლებათა არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, კერძოდ, 1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, 1966 წ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს და 1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს,

იღებს რა მხედველობაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელობას, როგორც კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნების მთავარ ფაქტორს და მდგრადი განვითარების გარანტს, რაც ხაზგასმულია იუნესკოს 1989 წ. რეკომენდაციაში ტრადიციული კულტურისა და ფოლკლორის შენარჩუნების შესახებ, იუნესკოს 2001 წ. საყოველთაო დეკლარაციაში კულტურათა მრავალფეროვნების შესახებ და 2002 წ. კულტურის მინისტრების მრგვალი მაგიდის მე-3 შეხვედრაზე მიღებულ სტამბულის დეკლარაციაში,

ითვალისწინებს რა მჭიდრო ურთიერთკავშირს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას შორის,

აღიარებს რა, რომ გლობალიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესები, რომლებიც ქმნის თანამეგობრობათა შორის დიალოგის განახლების პირობებს, ამავე დროს წარმოადგენს დეგრადაციის, გაქრობისა და რღვევის სერიოზულ წყაროს, რომლის საშიშროების წინაშეც დგას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით ამგვარი მემკვიდრეობის დაცვის საშუალებათა ნაკლებობის გამო,

აცნობიერებს რა საყოველთაო მისწრაფებას უზრუნველყოფილ იქნას კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამასთან დაკავშირებით იზიარებს რა საერთო შეშფოთებას,

აღიარებს რა, რომ საზოგადოება, კერძოდ, მკვიდრი საზოგადოება, ჯგუფები და, ხოგ შემთხვევაში, ცალკეული პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შექმნაში, დაცვასა და აღდგენაში, ხელს უწყობენ რა ამით კულტურათა გამრავალფეროვნებას და შემოქმედებით საქმიანობას,

აღნიშნავს რა იუნესკოს საქმიანობის დიდ მნიშვნელობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, კერძოდ, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1972 წ. კონვენციის შემუშავებაში,

აღნიშნავს რა, რომ ამჟამად არ არსებობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული სავალდებულო ძალის მქონე მრავალმხრივი საკანონმდებლო აქტი,

მიაჩნია რა, რომ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებები, რეკომენდაციები და რეზოლუციები ეფექტურად უნდა შეიცვლოს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ახალი დებულებებით,

ითვალისწინებს რა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და მისი დაცვის მნიშვნელობის უფრო დროდ გაცნობიერების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებს შორის,

მიაჩნია რა, რომ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით საერთაშორისო თანამეგობრობამ წინამდებარე კონვენციის მონაწილე-ქაყნებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ამგვარი მემკვიდრეობის დაცვას,

იხსენიებს რა იუნესკოს პროგრამებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, კაცობრიობის ზეპირი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრებად გამოცხადების შესახებ,

იდებს რა მხედველობაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შეუფასებელ როლს ხალხთა დაახლოების, გაცვლებისა და ურთიერთგაგების საქმეში,

იდებს წინამდებარე კონვენციას 2003 წლის ჩვიდმუტ ოქტომბერს.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1 – კონვენციის მიზნები

წინამდებარე კონვენციის მიზნებია:

- ა) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ) შესაბამისი საზოგადოებების, ჯგუფებისა და ცალკეული პირების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა;
- გ) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და მის ურთიერთაღიარებაზე ყურადღების გამახვილება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- დ) საერთაშორისო თანამშრომლობა და დახმარება.

მუხლი 2 – განსაზღვრებანი

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის

1. „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ ნიშნავს ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნისა და უნარ-ჩვევებს, – ასევე მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, ადამიანის ხელით შექმნილ

ნივთებსა და კულტურულ სიკრცეებს, – აღიარებულს საზოგადოებების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად. თაობიდან თაობაში გადაცემული ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა განიცდის მუდმივ განახლებას საზოგადოებებისა და ჯგუფების მიერ გარემო პირობების, ბუნების ზემოქმედებისა და ისტორიის შესაბამისად და აყალიბებს თვითმყოფადობისა და მემკვიდრეობითობის გრძნობას, ხელს უწყობს რა ამით კულტურათა მრავალფეროვნებასა და ადამიანის შემოქმედებას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც შეესატყვისება ადამიანის უფლებების არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და საზოგადოებებს, ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს შორის ურთიერთპატივისცემის მოთხოვნებს, ისევე, როგორც მდგრად განვითარებას.

2. „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, როგორც ამას ზემოთ, კუნტი 1 განსაზღვრავს, მუდავნდება, კერძოდ, შემდეგ სფეროებში:

- ა) ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით;
- ბ) საშემსრულებლო ხელოვნება;
- გ) ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები;
- დ) ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა და ადათ-წესები;
- ე) ტრადიციული ხელოვნება.

3. „დაცვა“ ნიშნავს ზომების მიღებას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მისი იდენტიფიკაციის, დოკუმენტირების, კვლევის, შენახვის, დაცვის, პოპულარიზაციის, მისი როლის გაზრდისა და მისი გადაცემის ჩათვლით უმთავრესად ფორმალური და არაფორმალური სწავლების მეშვეობით, აგრეთვე ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის გაძლიერებას.

4. „სახელმწიფო მხარეები“ ნიშნავს ქვეყნებს, რომელთათვისაც წინამდებარე კონვენცია სავალდებულოა და ძალაშია შესული.

5. წინამდებარე კონვენცია ვრცელდება 33-ე მუხლში
მითითებულ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ მუხლით გათვალისწინებული
პირობების შესაბამისად ხდებიან მისი მხარეები. ამ შემთხვევაში სიტყვები
„სახელმწიფო მხარეები“ ასევე ეხება ამ ტერიტორიებსაც.

მუხლი 3 – კავშირი სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან

წინამდებარე კონვენციის არცერთი პუნქტი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს იგი:

- ა) ცვლიდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის თვისებებს ან ამცირებდეს დაცვის იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია 1972 წლის კონვენციით კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ; ან

- ბ) ლახავდეს სახელმწიფო მხარეთა
რომლებიც გამომდინარეობს
უფლებებთან და ბიოლოგიური
გამოყენებასთან დაკავშირებული
სამართლებრივი აქტიდან, რომლის
სახელმწიფოები.

III. კონვენციის ორგანოები

მუხლი 4 – სახელმწიფო მხარეთა გენერალური ასამბლეა

1. წინამდებარე კონვენციით ფუძნდება სახელმწიფო მხარეთა გენერალური ასამბლეა, შემდგომში „გენერალური ასამბლეა“. გენერალური ასამბლეა წარმოადგენს წინამდებარე კონვენციის სრულუფლებიან ორგანოს.
 2. გენერალური ასამბლეა თავის რიგით სხდომებს გამართავს ორ წელიწადში ერთხელ. იგი შეიძლება შეიკრიბოს რიგგარეშე სესიებზე ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათშორისო კომიტეტის, ან სახელმწიფო მხარეთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 5 – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაცვის
სამთავრობათშორისო კომიტეტი

1. წინამდებარე კონვენციით იუნისკოსთან ფუძნდება სრამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობო ორგანიზაცია, კომიტეტი, შემდგომში „კომიტეტი“. კომიტეტი შედგება 18 სახელმწიფო მხარის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ წინამდებარე კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად ირჩევენ გენერალურ ასამბლეაზე შეკრებილი სახელმწიფო მხარეები.
 2. ამ კომიტეტის წევრი-ქვეყნების რიცხვი ვაიზრდება 24-მდე, როდესაც კონვენციის სახელმწიფო მხარეთა რიცხვი მიაღწია 50-ს.

მუხლი 6 – კომიტეტის არჩევნები და წევრი-ქადაგების უფლებამოსილებათა
კადები

- კომიტეტის წევრი-ქვეყნების არჩევნები ხორციელდება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებისა და სამართლიანი როტაციის შესაბამისად.
 - კომიტეტის წევრი-ქვეყნები აირჩევა გენერალურ ასამბლეაზე შეკრებილი კონვენციის სახელმწიფო მხარეთა მიერ ოთხი წლის ვადით.
 - თუმცა, თავდაპირველი არჩევნების შედეგად არჩეული კომიტეტის წევრი-თუმცა, თავდაპირველი არჩევნების შედეგად არჩეული კომიტეტის წევრი-ქვეყნების ნახევარს უფლებამოსილების ვადა განესაზღვრება ორი წლით. ეს ქვეყნები აირჩევა კენჭისყრით თავდაპირველი არჩევნების დროს.
 - გენერალური ასამბლეა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ანახლებს კომიტეტის წევრი-ქვეყნების შემადგენლობის ნახევარს.
 - იგი ასევე ირჩევს კომიტეტის წევრი-ქვეყნების იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების შესავსებად.
 - კომიტეტის წევრი-ქვეყანა არ შეიძლება არჩეულ იქნეს უფლებამოსილების ზუდიზე ტრიუმფი ვადით.

7. კომიტეტის წევრი-ქვეყნები თავიანთ წარმომადგენლებად ირჩევენ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ კომპეტენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სფეროში.

მუხლი 7 - კომიტეტის ფუნქციები

წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული სხვა მოვალეობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, კომიტეტის ფუნქციები მდგრმარეობს შემდეგში:

- ა) კონვენციის მიზნების მიღწევის ხელშეწყობა, წახალისება და მონიტორინგი მის შესრულებაზე;
- ბ) მოწინავე პრაქტიკასთან დაკავშირებული კონსულტაციების მოწყობა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზომების შესახებ რეკომენდაციების მომზადება;
- გ) ფონდის სახსრების გამოყენების გეგმის პროექტის მომზადება და, 25-ე მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებლად გენერალურ ასამბლეაზე წარდგენა;
- დ) ფონდის რესურსების ზრდის საშუალებათა გამოძებნა და, 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ მიზნით აუცილებელი ზომების მიღება;
- ე) კონვენციის შესასრულებლად საჭირო დირექტივების მომზადება და გენერალურ ასამბლეაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- ვ) 29-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მხარეთა მოხსენებების განხილვა და მათი რეზიუმის სახით გენერალური ასამბლეისათვის მიწოდება;
- ზ) სახელმწიფო მხარეთა მიერ წარდგენილი განცხადებების განხილვა და, კომიტეტის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებებისა და გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული ობიექტები კრიტერიუმების შესაბამისად, შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება:
 - მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში ხსენებული წინადადებების სიებში ჩართვა და შერჩევა;
 - 22-ე მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო დახმარების გაწევა.

მუხლი 8 — კომიტეტის მუშაობის მეთოდები

1. კომიტეტი ანგარიშვალდებულია გენერალური ასამბლეის წინაშე და წარუდგენს მოხსენებებს მთელი თავისი საქმიანობისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

2. კომიტეტი ამტკიცებს თავის შინაგანაწესს წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

3. კომიტეტს შეუძლია დროებით შექმნას სპეციალური საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც საჭიროდ მიაჩნია მის წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად.

4. კომიტეტს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე საკონსულტაციოდ თავის სხდომებზე მიიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციები, ასევე ცალკეული პირები, რომელთა კომპეტენცია აღიარებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სფეროში.

მუხლი 9 - საკონსულტაციო ორგანიზაციების აკრედიტაცია

1. კომიტეტი გენერალურ ასამბლეაზე განსახილებული წარადგენს წინადადებებს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში აღიარებული კომპეტენციის

ქქონე არასამთავრობო ორგანიზაციების აკრედიტაციის შესახებ. კომიტეტისთვის ეს ორგანიზაციები ასრულებენ საკონსულტაციო ფუნქციებს.

2. კომიტეტი გენერალურ ასამბლეას ასევე განსახილველად წარუდგენს წინადადებებს აღნიშნული აკრედიტაციის კრიტერიუმებისა და პირობების შესახებ.

მუხლი 10 - სამდივნო

1. იუნესკოს სამდივნო დახმარებას უწევს კომიტეტს.
2. სამდივნო გენერალური ასამბლეისა და კომიტეტისათვის ამზადებს დოკუმენტაციას, ასევე მათი სხდომების დღის წესრიგის პროექტებს და უზრუნველყოფს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

III. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეროვნულ დონეზე

მუხლი 11 - მონაწილე-ქვეყნების როლი

ყოველი სახელმწიფო მხარე ვალდებულია:

- ა) მიიღოს აუცილებელი ზომები მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ბ) საზოგადოებრიობის, ჯგუფებისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დაცვის ზომების ფარგლებში, მოახდინოს მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ელემენტის იდენტიფიცირება და განსაზღვრა.

მუხლი 12 - ჩამონათვალი

1. თითოეული სახელმწიფო მხარე, კულტურული მემკვიდრეობის ელემენტთა უზრუნველსაყოფად, ადგენს მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთ ან რამდენიმე ჩამონათვალს. მსგავსი ჩამონათვალი ექვემდებარება რეგულარულ განახლებას.
2. თითოეული სახელმწიფო მხარე კომიტეტისათვის 29-ე მუხლის შესაბამისად პერიოდულად წარდგენილი მოხსენების საფუძველზე, კომიტეტს აწვდის შესაბამის ინფორმაციას ამ ჩამონათვალის შესახებ.

მუხლი 13 – დაცვის სხვა საშუალებები

თითოეული სახელმწიფო მხარე, მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და როლის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით:

- ა) ატარებს საერთო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის როლის ამაღლებასა და ამ მემკვიდრეობის დაცვის ჩართვას დაგეგმარების პროცესში;

- ბ) ნიშნავს ან ქმნის ერთ ან რამდენიმე კომპეტენტურ ორგანოს მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით;
- გ) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, საფრთხის წინაშე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეფექტურობის მიზნით ხელს შეუწყობს კვლევების ჩატარებას სამეცნიერო, ტექნიკურ და ხელოვნებათმცოდნეობის დარგებში, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- დ) იდებს შესაბამის იურიდიულ, ტექნიკურ, აღმინისტრაციულ და ფინანსურ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს:

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის დარგში კადრების მომზადების მიზნით შესაბამისი ინსტიტუტების შექმნასა და ხელშეწყობას, ასევე ამ მემკვიდრეობის წარმოდგენისა და გაცნობის მიზნით ფორუმების მოწყობას;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას იმ წესების დაცვით, რომელიც განსაზღვრავს ამგვარი მემკვიდრეობის ამა თუ იმ ასპექტის ხელმისაწვდომობას;
- შესაბამისი დაწესებულებების შექმნას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციისათვის და მისი ხელმისაწვდომობის გაიოდებას.

მუხლი 14 - განათლება, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება და პოტენციალის განმტკიცება

თითოეული სახელმწიფო მხარე, იყენებს რა მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებს, თავის ძალისხმევას მიმართავს შემდეგზე:

- ა) საზოგადოების მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღიარების, პატივისცემისა და მისი როლის ამაღლების უზრუნველყოფა, კერძოდ, შემდეგი საშუალებებით:

- სასწავლო, საინფორმაციო და შემეცნებითი პროგრამები და საზოგადოებრიობის, კერძოდ ახალგაზრდობის ინფორმირება;
 - კონკრეტული სასწავლო და შემეცნებითი პროგრამები დაინტერესებული საზოგადოებისა და ჯგუფებისათვის;
 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით პოტენციალის გაძლიერების ღონისძიებები, კერძოდ, მართვისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში;
 - ცოდნის გადაცემის არაფორმალური მეთოდები;
- ბ) საზოგადოების ინფორმირება იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება ამგვარ მემკვიდრეობას, ასევე წინამდებარე კონვენციის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
- გ) ინფორმაციის მიწოდება ისეთი ბუნებრივი სივრცეებისა და დირსშესანიშნავი ადგილების შესახებ, რომელთა არსებობა აუცილებელია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენისათვის.

მუხლი 15 - საზოგადოებრიობის, ჯგუფებისა და ცალკეული პირების მონაწილეობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, თითოეული სახელმწიფო მხარე უზრუნველყოფს საზოგადოებრიობის, ჯგუფებისა და, შესაბამის შემთხვევებში

ცალკეული პირების შეძლებისდაგვარად ფართო მონაწილეობას, რომლებიც დაკავებულნი არიან ამ მემკვიდრეობის შექმნით, შენარჩუნებითა და გადაცემით, და ასევე, მათ აქტიურ ჩართვას ამ მემკვიდრეობის მართვაში.

IV. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საერთაშორისო დონეზე

მუხლი 16 - კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტატული სია

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინოების, მისი მნიშვნელობის გაძლიერებისა და კულტურათა მრავალფეროვნების საკითხებზე დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, კომიტეტი, შესაბამისი სახელმწიფო მხარეების წინადადებით, ადგენს, აახლებს და აქვეყნებს რეპრეზენტატულ სიას.
2. კომიტეტი შეიმუშავებს და გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად წარუდგენს აღნიშნული რეპრეზენტატული სიის შედგენის, განახლებისა და გამოქვეყნების კრიტერიუმებს.

მუხლი 17 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სია, რომელიც საჭიროებს სასწრაფო დაცვას

1. კომიტეტი, დაცვის შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, ადგენს, აახლებს და აქვეყნებს იმ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიას, რომელიც საჭიროებს სასწრაფო დაცვას და, შესაბამისი სახელმწიფო მხარეების თხოვნით, ასეთი მემკვიდრეობა შეაქვს სიაში.
2. კომიტეტი შეიმუშავებს და გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად წარუდგენს აღნიშნული სიის შედგენის, განახლებისა და გამოქვეყნების კრიტერიუმებს.
3. განსაკუთრებულად სასწრაფო შემთხვევებში, - რომელთა ობიექტური კრიტერიუმები კომიტეტის წინადადების საფუძველზე მტკიცდება განერალურ ასამბლეაზე, - დაინტერესებულ მონაწილე-სახელმწიფოებთან კონსულტაციით კომიტეტს შეუძლია შესაბამისი მემკვიდრეობის ელემენტი შეიტანოს პირველ კუნქტში მოხსენიებულ სიაში.

მუხლი 18 - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამები, პროექტები და ლონისძიებები

1. სახელმწიფო მხარეების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე და კომიტეტის მიერ შემუშავებული და გენერალურ ასამბლეაზე დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, კომიტეტი ხელს უწყობს მემკვიდრეობის დაცვის იმ ეროვნული, სუბრეგიონალური ან რეგიონალური პროგრამების, პროექტებისა და ლონისძიებების განხორციელებას, რომლებიც, მისი აზრით, განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მოთხოვნების გათვალისწინებით, საუკეთესოდ ასახავს წინამდებარე კონვენციის პრინციპებსა და მიზნებს.
2. ამ მიზნით იგი იდებს, იხილავს და ამტკიცებს მონაწილე-სახელმწიფოების მიერ ფორმულირებულ განაცხადებს საერთაშორისო დახმარების გაწევის შესახებ.

3. აღნიშნული პროგრამების, პროექტებისა და ლონისძიებების განხორციელებასთან ერთად, კომიტეტი უზრუნველყოფს მოწინავე პრაქტიკის გავრცელებას მის მიერ დადგენილი საშუალებებით.

V. საერთაშორისო თანამშრომლობა და დახმარება

მუხლი 19 - თანამშრომლობა

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობა ითვალისწინებს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას, ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას და, ასევე, სახელმწიფო მხარეთათვის დახმარების მექანიზმის შემუშავებას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით.

2. სახელმწიფო მხარეები, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმებისათვის ზიანის მიერნების გარეშე, აღიარებენ, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კაცობრიობის საერთო ინტერესს წარმოადგენს და, ამ მიზნით, იღებენ ორმხრივ, ქვერეგიონულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე თანამშრომლობის ვალდებულებას.

მუხლი 20 - საერთაშორისო დახმარების მიზნები

საერთაშორისო დახმარება შესაძლოა გაწეულ იქნეს შემდეგი მიზნებით:

- ა) იმ მემკვიდრეობის დაცვა, რომელიც შეტანილია იმ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სიაში, რომელიც გადაუდებელ დაცვას საჭიროებს;
- ბ) ჩამონათვალის მომზადება მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად;
- გ) ეროვნულ, სუბრეგიონულ და რეგიონულ დონეებზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პროგრამების, პროექტებისა და ლონისძიებების მხარდაჭერა;
- დ) ნებისმიერი სხვა მიზნის შესრულება, რომელსაც კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს.

მუხლი 21 - საერთაშორისო დახმარების ფორმები

კომიტეტის მიერ სახელმწიფო მხარეთათვის განკუთვნილი დახმარება რეგლამენტირებულია მე-7 მუხლში მოხსენიებული ოპერატიული სახელმძღვანელოთი, ასევე, 24-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებით, და შესაძლოა მიიღოს შემდეგი ფორმები:

- ა) დაცვის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებული კვლევები;
 - ბ) ექსპერტებისა და სტაუიორების მომსახურებით უზრუნველყოფა;
 - გ) ნებისმიერი საჭირო პერსონალის მომზადება;
 - დ) ნორმატიული და სხვა აქტების შემუშავება;
 - ე) ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
 - ვ) აღჭურვილობისა და ნოუ-პაუს მიწოდება;
 - ზ) ფინანსური და ტექნიკური დახმარების სხვა ფორმები, განსაზღვრულ შემთხვევებში,
- დაბალპროცენტიანი სესხების და შემოწირულობების ჩათვლით.

მუხლი 22 - საერთაშორისო დახმარების გაწევის პირობები

- კომიტეტი ადგენს საერთაშორისო დახმარების შესახებ განაცხადების განხილვის პროცედურას და აზუსტებს თუ რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს აღნიშნული განაცხადება, კერძოდ, გასათვალისწინებელი ზომები, აუცილებელი მოქმედებები და მათთან დაკავშირებული ხარჯების შეფასება.
- გადაუდებელ შემთხვევებში, დახმარების გაწევის შესახებ განაცხადი კომიტეტის მიერ განიხილება პრიორიტეტულ საფუძველზე.

მუხლი 23 - განაცხადები საერთაშორისო დახმარებაზე

- თითოეულ სახელმწიფო მხარეს შეუძლია კომიტეტს წარუდგინოს განაცხადი მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით საერთაშორისო დახმარების გაწევის შესახებ.
- მსგავსი განაცხადი შესაძლოა წარდგენილ იქნეს ერთობლივად ორი ან მეტი სახელმწიფო მხარის მიერ.
- განაცხადი უნდა შეიცავდეს 22-ე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას და სხვა საჭირო დოკუმენტაციას.

მუხლი 24 - ბენეფიციარი წევრი სახელმწიფოების როლი

- წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად, საერთაშორისო დახმარების გამოყოფა რეგულირდება შეთანხმებით ბენეფიციარ სახელმწიფო მხარესა და კომიტეტს შორის.
- საერთო წესით, ბენეფიციარი სახელმწიფო მხარე, მის განკარგულებაში არსებული რესურსების ფარგლებში, მონაწილეობს დაცვის იმ ზომებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში, რომლისთვისაც გამოყოფილია საერთაშორისო დახმარება.
- ბენეფიციარი სახელმწიფო მხარე კომიტეტს წარუდგენს მოხსენებას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით გაწეული დახმარების გამოყენების შესახებ.

VI. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფონდი

მუხლი 25 - ფონდის ხასიათი და რესურსები

- წინამდებარე კონვენციით ფუძნდება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“, შემდგომში „ფონდი“.
- ეს ფონდი, იუნესკოს დებულების შესაბამისად, წარმოადგენს მიზნობრივ ფონდს.
- ფონდის სახსრები შედგება:
 - სახელმწიფო მხარეთა შენატანებისაგან;
 - იუნესკოს გენერალური კონფერენციის მიერ ამ მიზნით ასიგნებული სახსრებისაგან;
 - შენატანების შემოწირულობების ან სამკვიდრეო ქონებისაგან, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენილი იქნას:
 - სხვა ქვეყნების მიერ;

- გაეროს სისტემის ორგანიზაციებისა და პროგრამების, კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამის, და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;
 - სახელმწიფო ან კერძო ორგანოების ან კერძო პირების მიერ;
 - ამ ფონდის სახსრებზე ნებისმიერი პროცენტული დანარიცხებით;
 - ფონდის სასარგებლოდ ორგანიზებული ღონისძიებებისგან მიღებული თანხებით;
 - კომიტეტის მიერ შემუშავებული და ფონდის დებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.
4. სახსრების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას დებულობს კომიტეტი გენერალური ასამბლეის სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე.
5. კომიტეტს შეუძლია სხვა ფორმებით მიიღოს, ზოგადი ან კონკრეტული მიზნებისთვის განკუთვნილი შენატანები და დახმარებები, რომლებიც დაკავშირებულია განსაზღვრულ პროექტებთან იმ პირობით, რომ ასეთ პროექტებს კომიტეტი მოიწონებს.
6. ფონდში შენატანები არ შეიძლება განხორციელდეს რაიმე პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა მოსაზრებებით, რომლებიც შეუთავსებებლია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან.

მუხლი 26 - მონაწილე-სახელმწიფოების შენატანები ფონდში

1. წინამდებარე კონვენციის სახელმწიფო მხარეები, ნებაყოფლობითი დამატებითი შენატანების შეუზღუდავად, ვალდებულებას იღებენ არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ შეიტანონ შენატანები, რომელთა თანხა, დაანგარიშებული ყველა ქვეყნისათვის ერთიანი პროცენტული განაკვეთით, განისაზღვრება გენერალური ასამბლეის მიერ. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ასამბლეა დამსწრე სახელმწიფო მხარეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, რომლებსაც არ გაუკეთებიათ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი. სახელმწიფო მხარის აღნიშნული შენატანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს იუნესკოს ჩვეულებრივ ბიუჯეტში მისი შენატანის 1%-ს.
2. თუმცა, წინამდებარე კონვენციის 32-ე ან 33-ე მუხლებში ხსენებულ ნებისმიერ სახელმწიფოს, მისი სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების მომენტში შეუძლია განაცხადოს, რომ ის არ იქნება შეზღუდული წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებით.
3. წინამდებარე კონვენციის სახელმწიფო მხარეს, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის გაკეთების შემდეგ, შეუძლია გააუქმოს თავისი განაცხადი, რის შესახებაც მან უნდა აუწყოს იუნესკოს გენერალურ დირექტორს. განაცხადის გაუქმება, ამ სახელმწიფოსათვის დაკისრებულ შენატანთან მიმართებაში, ძალაში შედის გენერალური ასამბლეის მომდევნო სხდომის გახსნის თარიღიდან.
4. კომიტეტის მიერ თავისი საქმიანობის უფასებურად დაგეგმვის მიზნით, განაცხადის წარმდგენმა სახელმწიფო მხარეებმა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შენატანები რეგულარულად, არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ, უნდა განხორციელონ. ეს თანხა დაახლოებით უნდა

შეადგენდეს იმ შენატანთა თანხას, რომელსაც ეს სახელმწიფო მხარეები განახორციელდენენ იმ შემთხვევაში თუ ისინი შეზღუდულნი იქნებოდნენ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებებით.

5. კომიტეტის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნეს წინამდებარე კონვენციის სახელმწიფო მხარე, რომელსაც გააჩნია მიმდინარე ან გასული კალენდარული წლის სავალდებულო ან ნებაყოფლობითი შენატანების დავალიანება; ეს დებულება არ ვრცელდება თავდაპირველ არჩევნებზე. ასეთ სახელმწიფოებს, რომლებიც უკვე წარმოადგენენ კომიტეტის წევრებს, უფლებამოსილება უწყდებათ წინამდებარე კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი არჩევნების მომენტიდან.

მუხლი 27 - დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანები ფონდში

26-ე მუხლით გათვალისწინებული თანხის გარდა ნებაყოფლობითი შენატანების მსურველი სახელმწიფო მხარეები ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებენ კომიტეტს, რათა მან შესაბამისად დაგეგმოს თავისი საქმიანობა.

მუხლი 28 - თნების მობილიზების მიზნით ჩატარებული საერთაშორისო კამპანიები

სახელმწიფო მხარეები შეძლებისდაგვარ მხარდაჭერას უწევენ ფონდში თანხების მობილიზების მიზნით იუნესკოს უგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო კამპანიებს.

VII. მოხსენებები

მუხლი 29 – სახელმწიფო მხარეების მოხსენებები

სახელმწიფო მხარეები, კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმითა და პერიოდულობით, წარუდგენენ კომიტეტს მოხსენებებს საკანონმდებლო და მარეგულირებელი და წინამდებარე კონვენციის შესრულების მიზნით მიღებული სხვა ზომების შესახებ.

მუხლი 30 – კომიტეტისთვის წარდგენილი მოხსენებები

1. კომიტეტი, გენერალური ასამბლეის ყოველ სესიაზე, წარადგენს თავისი საქმიანობისა და 29-ე მუხლში მითითებული სახელმწიფო მხარეების მოხსენებების საფუძველზე მომზადებულ მოხსენებას.
2. ეს მოხსენება წარედგინება იუნესკოს გენერალურ კონფერენციას.

VIII. გარდამავალი დებულებები

მუხლი 31 - კავშირი კაცობრიობის ზეპირი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრებად აღიარებასთან

1. კომიტეტს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტაციალურ სიაში შეაქვს ის ნიმუშები, რომლებიც აღიარებულია კაცობრიობის ზეპირი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრებად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლამდე.
2. კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღნიშნული შედევრების რეპრეზენტაციულ სიაში შეტანა არანაირი სახით არ განსაზღვრავს სიაში ნიმუშების შემდგომ შეტანას მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაწესებული კრიტერიუმების შესაბამისად.
3. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ დაუშვებელია რაიმე სახის აღიარება.

IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 32 - რატიფიცირება, მიღება და დამტკიცება

- 1.. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება იუნესკოს წევრ სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას მათი შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურების მიხედვით.
2. მიღების ან დამტკიცების სარატიფიკაციო სიგელები, დოკუმენტები მიღების ან დამტკიცების შესახებ შესანახად გადაეცემა იუნესკოს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 33 - მიერთება

1. წინამდებარე კონვენციასთან მიერთება შეუძლია იუნესკოს არაწევრ ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია სთავაზობს ამ კონვენციასთან მიერთებას.
2. წინამდებარე კონვენციასთან მიერთება შეუძლია ასევე სრული შიდა თვითმმართველობის მქონე ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც ასეთად აღიარებულია გაეროს მიერ, მაგრამ გაეროს გენერალური ასამბლეის 1514 (XV) რეზოლუციის შესაბამისად, არ მიუდწევიათ სრული დამოუკიდებლობისათვის, და გააჩიათ კომპეტენცია წინამდებარე კონვენციით რეგულირებად საკითხებში, მათ შორის, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმების კომპეტენცია.
3. მიერთების დოკუმენტი შესანახად გადაეცემა იუნესკოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 34 - ძალაში შესვლა

წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების დღიდან 3 თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც თავიანთი სარატიფიკაციო სიგელები ან მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტები შესანახად გადასცეს მითითებულ დღეს ან უფრო ადრე. სხვა ნებისმიერ სახელმწიფო მხარესთან მიმართებაში კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტის შესანახად გადაცემის დღიდან.

მუხლი 35 - ფედერაციული ანუ არაუნიტარული კონსტიტუციური სისტემები

ფედერაციული ანუ არაუნიტარული კონსტიტუციური მოწყობის მქონე მონაწილე-სახელმწიფოებისათვის გამოიყენება შემდეგი დებულებები:

- ა) წინამდებარე კონვენციის იმ დებულებების, რომელთა გამოყენება ფედერალური ან ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების იურისდიქციაში შედის, ფედერალური ან ცენტრალური მთავრობის მოვალეობები იგივე იქნება, რაც არაფედერალური მოწყობის მქონე მონაწილე-სახელმწიფოების მოვალეობები;
- ბ) რაც შეეხება წინამდებარე კონვენციის დებულებებს, რომელთა გამოყენება ფედერაციაში შემავალი იმ შტატების, ოლქების, პროვინციების ან კანტონების იურისდიქციაში შედის და, რომლებიც, ფედერაციის საკონსტიტუციო სისტემის შესაბამისად, არ არიან ვალდებული მიიღონ საკანონმდებლო ზომები, ფედერალური მთავრობა აღნიშნულ დებულებებს, მათი მიღების რეკომენდაციითურთ, გააცნობს შტატების, ოლქების, პროვინციების ან კანტინების შესაბამის მმართველ ორგანოებს.

მუხლი 36 - დენონსაცია

1. უოველ სახელმწიფო მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება.
2. დენონსაციის ნოტიფიცირება ხდება წერილობითი აქტით, რომელიც შესანახად გადაუცემა იუნისკოს დირექტორს.
3. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის აქტის მიღებიდან 12 თვის შემდეგ. კონვენციიდან გასვლის თარიღის ძალაში შესვლამდე დენონსაცია არანაირი სახით არ ცვლის იმ სახელმწიფო მხარის მიერ აღებულ ფინანსურ ვალდებულებებს, რომელმაც განახორციელა დენონსაცია.

მუხლი 37 - დეპოზიტორის ფუნქციები

იუნისკოს გენერალური დირექტორი, როგორც წინამდებარე კონვენციის დეპოზიტორი, 33-ე მუხლში მითითებულ ორგანიზაციის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს, ასევე გაეროს, ატყობინებს 32-ე და 33-ე მუხლებში მოხსენიებული ყველა სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების, აგრეთვა, 36-ე მუხლში მითითებული დენონსაციის აქტების შესახებ. –

მუხლი 38 - შესწორებები

1. სახელმწიფო მხარეს წინამდებარე კონვენციაში შესწორებები შეუძლია წერილობითი შეტყობინებით შესთავაზოს იუნისკოს გენერალურ დირექტორს. გენერალური დირექტორი ყველა სახელმწიფო მხარეს უგზავნის ამ შეტყობინებას.

თუ აღნიშნული შეტყობინების გაგზავნიდან ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო მხარეთა ნახევარზე მეტი დადებითად უპასუხებს ამ წინადადებას, გენერალური დირექტორი განსახილველად ან შესაძლო მისაღებად წარადგენს გენერალური ასამბლეის მომდევნო სესიაზე.

2. შესწორებები მიიღება დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედით.

3. წინამდებარე კონვენციაში შესწორებები, მათი მიღების შემდეგ, ექვემდებარება მონაწილე-სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირებას, მიღებას, დამტკიცებას ან მიერთებას.
4. შესწორებები ძალაში შედის მონაწილე-სახელმწიფოთა ორი მესამედის თანხმობით წინამდებარე კონვენციის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შესანახად ჩატარებიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც მოახდინეს წინამდებარე კონვენციაში შესწორებების რატიფიცირება, მიღეს, დაამტკიცეს ან მიუერთდნენ მას. მომავალში, ყოველი სახელმწიფო მხარისთვის, რომელიც მოახდენს შენიშვნის რატიფიცირებას, მიღებას, დამტკიცებას ან მიერთებას, აღნიშნული შენიშვნა ძალაში შევა სახელმწიფო მხარის მიერ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ საკუთარი დოკუმენტის შესანახად ჩატარებიდან სამი თვის შემდეგ.
5. მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი პროცედურა არ გრცელდება მე-5 მუხლთან დაკავშირებულ შენიშვნებზე, რომელიც შეეხება კომიტეტის წავრ სახელმწიფოთა რაოდენობას.
6. სახელმწიფო, რომელიც წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შენიშვნების ძალაში შესვლის შემდეგ ხდება წინამდებარე კონვენციის მონაწილე, თუ სხვა განზრახვის შესახებ წინადადებას არ გააკეთებს, ჩაითვლება:
- ა) წინამდებარე კონვენციის, - მიღებული ჩასწორებებით, - მხარედ;
 - ბ) წინამდებარე კონვენციის მხარედ, მასში ჩასწორებების მიღების გარეშე, იმ სახელმწიფო მხარესთან მიმართებაში., რომლისთვისაც ეს შესწორებები სავალდებულო არ არის.
- მუხლი 39 - ტექსტების აუთენტურობა

წინამდებარე კონვენცია შედგენილია ინგლისურ, არაბულ, უსპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ამასთან, ექვსივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

მუხლი 40 - რეგისტრაცია

წინამდებარე კონვენცია, გაეროს 102 მუხლის შესაბამისად, იუნესკოს გენერალური დირექტორის თხოვნით, რეგისტრირდება გაეროს სამდივნოში.